სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 36

ქ.რუსთავი 09 სექტემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ #17 სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ გურანდა სირბილაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „თიდა"(შემდგომში - მიმწოდებელი) , მისი წარმომადგენელის ალუდა ჩანქსელიანის სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ს წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სკოლის საკლასო ოთახში ლამინირებული იატაკის დაგება (CPV 45432110) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1. მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით და ანგარიშფაქტურის წარსდგენის შემდეგ

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ

მუხლი 5. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

5.1 სამუშაოს შესრულების ადგილია ქ. რუსთავი გურამიშვილის ქ. №6

5.2 საუშაოს შესრულების ვადაა 2014 წლის 15 სექტემბერი.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საგნების ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული

დოკუმენტები;

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ რუსთავის #17 სკოლის დირექტორის მ/შ. გ.სირბილაძე

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესყიდული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილბითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების

მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 9 ოქტომბრამდე.

14.2ხელშეკრულება დადებულია 2(ორ ეგზემპლიარად), რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მიმწოდებლის მხრიდან:

შპს „თიდა“
მის: რუსთავი,მშენებელთა 62
ს/კ421268746
სს„რესპუბლიკა
ბანკი“GE73BR0000010573358781
საბანკო კოდი: REPLGE22

შპს „თიდას“ დირექტორი:

ალუდა ჩანქსელიანი

შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან:

სსიპ რუსთავის #17 სკოლა
მისამართი: ქ. რუსთავი გურამიშვილის ქ. #6
ტელეფონი: (0341) 27–74–00
საიდენტიფიკაციო კოდი: №216317260
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი"–რუსთავის ფილიალი
საბანკო კოდი: LBRTGE22
ა/ა GE10LB0121154332232000
დირექტორის მ/შ : გ.სირბილაძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. რუსთავი 15.09.2014წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქალაქ რუსთავის №17 საჯარო სკოლის დირექტორი ნელი ლიქოკელი,შემდგომში ("შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ შპს "თიდა" შემდგომში ("მიმწოდებელი"), ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2014 წლის 9 სექტემბერს გაფორმებული №36 ხელშეკრულების შესაბამისად "მიმწოდებელმა" სკოლას გაუწია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება , კერძოდ საკლასო ოთახში ლამინატის დაგება თანხით 250 (ორასორმოცდაათი) ლარი.

"შემსყიდველი":

ნელი ლიქოკელი

სსიპ ქალაქ რუსთავის #17 საჯარო სკოლის დირექტორი

"მიმწოდებელი":

ალუდა ჩანგელიანი

შპს „თიდა–"ს წარმომადგენელი

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

ფორმა No111-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული

1	ეა-15 2042256

3	სექტემბერი	2014

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	01	ოქტომბერი	2014

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	4	2	1	2	6	8	7	4	6		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს თიდა

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	1	6	3	1	7	2	6	0		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	საჯარო სამართლის იურიდიული პირი "ქალაქ რუსთავის #17

დასახელება (სახელი, გვარი) "საჯარო სკოლა"

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
საკლასო ოთახის ლამინირებული პარკეტის დაგება	მომსახურება		250,0000	38,1400	0,0000
		სულ	250	38,14	0

სასაქონლო ზედნადების No

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა _____ ბ.ა.

თარიღი

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა _____ ბ.ა.